გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 200 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 200

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—22). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

სამეურნეო სკოლაში, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბრის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი. 13 14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.
(30—2).

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაერიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—6—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყარდანახის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—დოროსმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი** ქალისა და საბებიო 11—12 **ს.** სამშ, ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. ხოგოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. გეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274
(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თაჩხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კკრაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ზ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

ლიაოიანის ბრძოლა.—წვრილი ცნობები.—გემების აფეთქება.—„სვოლოჩები“.

«ბერლინერ ტაგ.»-ს აცყობინებენ ტოკიოდგან ლონდონზე გამოაზავნილ დეპეშით, რუსეთის ლაშქარი სრულიად დაიბნა და გულჩათხრობილი უკან იწევსო; იაპონელებმა რკინის გზის სადგური დაიჭირეს და რუსებს სამხედრო მასალა აღარ წაადებინესო. გენერალი ლინევიჩი, როგორც ამბობენ, თავის კორპუსით მუკდენის ახლოა და მზად არის გენერალ კუროპატკინის ლაშქარს დაეხმაროსო.

ტოკიოდგანვე იწერებიან, იაპონელები თავის უმთავრეს ბანაკს ლიაოიანში გამართავენო. იაპონელები იწერებიან ბრძოლის ველიდგან, ვითომც რუსებმა ლიაოიანთან 15,000 მეომარი დაჰკარგეს, დაჭრილი თუ მოკლული და ტყვედ წაყვანილიო. იაპონელებმა მრავალი ზარბაზნები ჩაიგდეს, 40,000 თოფი და 200 ვაგონიო. იაპონელების დანაკარგი 12,000 მეომარიაო. (ნოვ.).

—

გაზეთ «მატენის» კორესპონდენტი იწერება, რუსის სამხედრო გემები პორტ-არტურში ხშირად იცვლიან ბინას, რომ ჯაშუშებმა არ შეატყობინონ იაპონელებს და იმათაც ყუმბარები არ დაუშინონ.

ამბობენ, ეხლა-ხან ერთი იაპონელი აფიცერი ტომარაში ჩამძვრალიყო, რომ, სხვა ტომრებთან ერთად პორტ-არტურში შეეპარებინათ. ჩინელებმა მიიტანეს კიდეც ტომარა, რომელშიაც ზემოდგან კომბოსტო ეწყო. რუსის დარაჯმა ტომარას ხიშტი აძგერა და ამით ეშმაკობა გამოაშკარავდა.

ჩიფუს მრავალი იაპონელი მიდის ბოლო დროს. ჰფიქრობენ, ზოგი მათგანი აფიცერი უნდა იყოსო. რა განზრახვა აქვთ, ჯერ ვერავინ მიმხვდარა.

ლონდონში მცხოვრებნი იაპონელნი ჰფიქრობენ, რომ ჩრდილო მანჯურიაში ომი ნოემბრის გასვლამდე გაგრძელდება თუმცა სიცივეს დაიჭერსო, ე. ი. ომი არ შესწყდება, ვიდრე ლიაოიანისა და პორტ-არტურის ბედი არ გადაწყდებაო.

პორტ-არტურის აღების შემდეგ ადმირალი ტოგო თავისუფალი იქმნება და თავის ესკადრას რუსების პორტებისაკენ გადაიყვანს, რომ აიკლოსო. იაპონელები ამტკიცებენ, ეს სულ უსაფუძლო და სიცრუეა. იაპონია ჯერ კიდევ დიდის ხნის ომს აიტანსო. (პ. ვ.).

—

„მოსკოვსკი ვედომოსტის“ თანამშრომელს ერთ მეზღვაურთან უბაასნია და, სხვათა შორის, «ნოვიკზე» ჩამოუგდია ლაპარაკი. აფიცერს უთქვამს: რასაკვირველია, მე ღირსეულად პატივსა ვცემ ჩვენს მეზღვაურებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე; მაგრამ მე ვერ შემიგნია, რად უნდა ჰღუპავდნენ თავის გემებს?! უკანასკნელი ღონისძიება უნდა შეალიონ, უკანასკნელ წამამდე უნდა იბრძოლონ და, თუ აუცილებელია, ისევ ზღვაზედ ნაპირიდგან შორს, მტრის ცხვირწინ მამაცურად ააფეთქონ თავისი გემი და თავისი თავიც. ხუმრობაა რამდენისამე მილიონის სახაზინო ქონების აფეთქება! ხმელეთის ჯარი ეგრე არ უყურებს სახაზინო ქონებას: მძიმედ დაჭრილი ჯარის კაცებიც კი, ძლივს რომ მიიზლაზნებიან, თოფს ხელიდგან არ უშვებენ და ხან თავის მოკლულ თუ უფრო მძიმედ დაჭრილ ამხანაგის თოფსაც მიათრევენ. აი, ასე უნდა უფრთხილდებოდნენ სახაზინო საკუთრებას.

— მაშ თქვენ «ნოვიკს» ამტყუნებთ?

— კი არ ვამტყუნებ, ვერ გამიგია. იმას შეეძლო თან ესროლა და თან უკან-უკან წასულიყო. უკანასკნელი ყუმბარაც ეს-

როლე, როგორც ხმელეთის არტილერიამ იცის. თორემ რაო? ჯერ არა დამართნია-რა და ააფეთქე და ისიც ნაპირთან!

— მე ეგ არ ვიცი. ხოლო ზღვაზე ბრძოლა საშინელება რამ არის! მაგალითად, «რიურიკი» რომ ანიშნებდა, «ველარ ვიძვრი, მანქანები აღარ მოქმედობსო», აბა ჩვენ განა შეგვიძლიან განვსაჯოთ?

— მე გეუბნებით, — სთქვა აფიცერმა დარწმუნებით, — რომ ბოლომდე უნდა იბრძოლონ და სახაზინო ქონებას გაუფრთხილდნენ. მაინცა და მაინც, «რიურიკი» უფრო სახელოვნად დაიღუპა, ვიდრე «ნოვიკი».

„სვოლოჩები“

(ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან „რუსსკ. სლოვოში“)

როდესაც იაპონელებმა ინკოუ-დაშიცაო დაიჭირეს, ყოველ მხრივ გზა გაეხსნათ, სურსათ-იარაღის მოტანა გაუადვილდათ. მაძღარი კარი უფრო გამხნევდა და თამამად წინ წამოვიდა. თუ წინად მხოლოდ აღმოსავლეთიდგან სცდილობდნენ გზის გადაჭრას, ეხლა დასავლეთიდგანაც შეუძლიანთ მოუარონ ჩვენს ჯარს. ჩვენ რომ თავის დროს მოგვმატებოდა ჯარი, მაშინ საქმე სულ სხვა და სხვანაირად დატრიალდებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად, თითქო განგებ, ათი დღე ტყუილად დავკარგეთ, როგორც ამას წინად — მთელი თვე. იმას ეზიდებოდნენ, რაც საჭირო არ იყო, და ჩვენს ძალას თითქმის არა ემატებოდა-რა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ იაპონიის ჯარი — ძლიერი ჯარია. მწყობრობით, ჯარის კაცების გულოვნობითა და მამაცობით ევროპიელების ჯარსა სჯობია. ამას საზღვრო აგენტებიც კი ამბობენ. ერთმა მათგანმა გულ-ახდილად მითხრა: «თქვენთვის უფრო ადვილი იყო ბრძოლა ევროპის რომელსამე სახელმწიფოსთან, ვიდრე იაპონიასთან. ერთი რომ, აქ თქვენს შინ არა ხართ და, მეორე, რაც უფრო საყურადღებოა, ევროპაში ეხლა ამათთანა სალდათი აღარ არის».

რუსეთის მწერლობა, — მიხვდებით, რა მიმართულებისაც, — ხშირად ყელზე ძაღლს მაბამს ჩამოსაღრჩობად, იაპონელებზე მაგგვარად რად ლაპარაკობო. ხოლო, რასაც მე ვამბობ, მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. სწორედ ასე ჰფიქრობს ყველა, ვისაც კი აქ იაპონელი უნახავს და მასთან საქმე ჰქონია. პატრიოტობა ის ხომ არ არის, რომ მტერს ცილი დასწამო და მასხარად აიგდო. ეს ცუდი და მაინც და მაინც უზნეო საქციელია. რასაკვირველია, ძალიან ადვილია და პასუხსაც არავინ მოგთხოვს, იაპონიის ლაშქარს «სვოლოჩი» რომ უწოდო, ხოლო, გამაგებინეთ, ეს რას ნიშნავს, ჩვენ «სვოლოჩს» რად გავურბით, რა დაგვემართა? განა სვოლოჩს რომ დავინახავთ, ზურგი უნდა შევაქციოთ? ეს ზიზღით ხომ არ მოგვდის?. მედიდურობა და ზიზლი მებრძოლისადმი ცუდი იარაღია. ფრანგებიც 1870 წლამდე გერმანელებს მედიდურად უყურებდნენ და კარტოფილის ფარასა და ლუდის ქვევრებს უწოდებდნენ და აკი სასტიკად დაისაჯნენ...

ვიმეორებ, ჩვენ ისეთ მტერს ვებრძვით, რომლის ლაშქარიც ევროპიელებისას სჯობია. ჩვენ უთუოდ დავამარცხებთ, — აქ ეჭვი არავისა აქვს, — ხოლო, დროებით რომ ვერას გავხდით, თავი არ უნდა დავქინდროთ, ვითომდა «ბრბომ» და «სვოლოჩებმა» დაგვამარცხესო! — იაპონელებს არც «ბრბოს» სახელი და არც «სვოლოჩი» არ ეკადრებათ. ამგვარ გარემოებაში ისინი ევროპიელთა ლაშქარსაც დაამარცხებდნენ, რომელიც უნდა ყოფილიყო. პირიქით, შეგვიძლიან ვიამაყოთ, რომ ერთი ორს ვუძლებთ — და მერე რანაირ ორს!

ჩვენ აქ უცხო ქვეყანაში ვართ, არა სასურველ სტუმრად მოსული, და ისინი კი თითქმის შინ არიან. ჩვენს «კირილკებს» აქ თავბრუ ესხმით ამ სიცხე-პაპანაქებაში გადასვლ-გადმოსვლით; ორი ფუთი ზურგზე ჰკიდია და მთა უნდა გადაიაროს, რომელიც იაპონელს არაფრად მიაჩნია, რადგან შეჩვეულია, და ჩვენებმა კი პირველად იხილეს. კირილკას შეუძლიან თავმომწონედ მოიგონოს ეს ომი. უკუქცევა დამცირებად არ უნდა მიაჩნდეს, თუმცა თვითონ გამობრუნება მეტად ეძნელება. სირცხვილს კი არა ჰგრძნობს, აქ სასირცხვილო არა არის-რა. თავისი ბანაკი იმას ბრძოლით დაუჭერია, ასისა და ათას დაჭრილ და მოკლულ ამხანაგების სისხლით უყიდნია, უზომო ტანჯვა-დაქანცვითა და სიმშილით მოუპოვია...

არა სცხვენიან, მაგრამ უმადლო და უნაყოფო მოქმედება, რაც დროებით ჩვენს ჯარს დააკისრეს, მისს სულს ამდაბლებს. წინ წასვლა შეუკვეთეთ, და ის მაშინვე გამხნევდება; ხოლო უკან დაწევის დროს სიწყნარეს, წესსა და სიმტკიცეს ნუ მოელით. ნუ გიკვირთ, რომ ის შუბლ-შეკრული და პირ-შეჰმუხვნილია, უხალისოდ გიპასუხებთ, მუდამ გაჩუმებულია გზაში თუ ბანაკზე, ნუ ივიწყებთ, რომ ის სულ დაბნეულია, დაქანცულია კვირა-თვეობით წინ და უკან ხეტიალით; იმას ველარა გაუგია-რა, გაოცებულია, გაშტერებული.

ამბობენ, ჯარის-კაცს რა გაგება უნდა, ის მხოლოდ ბრძანებას უნდა ასრულებდესო.

ჩვენს ჯარის-კაცს ურჩობას ვერ დასწამებ. უბრძანე, წადი და მოკვდიო — ის უყოყმანოდ წავა და მოკვდება; აქ იდექ ცეცხლსა და ალშიო — ის იდგება. მაგრამ სულსა და გონებას მაინც ვერ ამოაცლით, კაცს მანქანად ვერ გარდაქმნით... იბრძვის თუ უკან იწევს, ის მაინც ჰფიქრობს თავის თავად. ბანაკზე, სიცხე-პაპანაქებაში, მზეზე თუ ჩრდილოში, ცივს ამინდსა და ავდარ-წვიმაში, ხმელსა თუ სველს მიწაზე დაგდებული, ის სულ ჰფიქრობს, ადარებს, იგონებს, აფასებს და ყოველ ნახულ-გაგონილის შეგნებას სცდილობს. ისეთს «მეომარს» ვერ იპოვით, რომელიც ასე არ სჩადიოდეს. დისციპლინა ბრმად მორჩილებასა და ასრულებას თხოულობს და არა გონების შებოჭვას.

ტფილისი

პარასკევს, 20 აგვისტოს, როგორც «კავკასი» გადმოგვცემს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი გაბედნიერებულა და ხელმწიფე იმპერატორს წარსდგომია.

⁂ ქართულ თეატრის დამხმარებელ ამხანაგობის დამაარსებელნი უმორჩილესად სთხოვენ ამხან. წევრთ, დაესწრონ ამხანაგობის 1-ლ საერთო კრებას, რომელიც მოჰხდება სამშაბათს, 31 აგვისტოს, ქართულ თეატრის დარბაზში. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება საამხანაგო ხელშეკრულობისა; 2) განხილვა და დამტკიცება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) არჩევა კომიტეტის წევრებისა (5 კაცი); 4) არჩევა სარევიზიო კომისიისა (3 კაცი); 5) არჩევა სარეპერტუარო კომისიისა (3 კაცი). კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დ. ს. სოვ. პეტროპავლოვსკის ეზოძა, როგორც «კავკასს» დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, ტაინი სოვეტნიკობა და სენატორობა.

⁂ იმავე გაზეთს იქიდგანვე დეპეშით ატყობინებენ, რომ ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორი სტასენკო და სტავროპოლის გიმნაზიის ინსპექტორი გრიგორიევი დანიშნულ იქმნენ: სტასენკო — სოხუმისა და გრიგორიევი — დარუბანდის რეალურ სასწავლებლების დირექტორებად.

⁂ გუშინ-წინ, 27 აგვისტოს, საღამოს, ტფილისში, სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ტფილისის კომენდანტი, გენერალ ლეიტენანტი რეიტერი.

⁂ გუშინ თელავიდგან ტფილისში ჩამოვიდა ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ხვალ ქუთაისში მიემგზავრება, რათა შეუდგეს ქართულ წარმოდგენების მოწყობას დამდეგ სეზონისათვის. მესხიშვილს აზრადა აქვს შეადგინოს პატარა დასი უკეთეს მსახიობთაგან და სცენის-მოყვარულთა დახმარებით ჰმართოს წარმოდგენები. ამასთანავე, მესხიშვილი ჰმართავს, სპეციალისტების დახმარებით, ყოველ-კვირეულ ლექციებს, რომელზედაც მსმენელთ გააცნობს ანატომიას, ფიზიოლოგიასა და ფსიხოლოგიას, რამდენადაც ეს სცენისათვის არის საჭირო, და აგრეთვე სასცენო ხელოვნების თეორიასაც.

⁂ რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში ომია და აუარებელი ფული სჭირდება ამ ომიანობას, კავკასიაში გზათა შესაკეთებლად გადაიდვა 250,000 მ. 2.382,000 მან. მაგიერ, რომელსაც კავკასიის გზათა ოლქი თხოულობდა. ეს 250,000 მანათიც უმეტესად სტრატეგიულ გზების შესაკეთებლადაა გადადებული.

⁂ წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში პირველ სეკდემბრიდან დაიწყება მოსწავლეთა მიღება. სკოლის მეორე განყოფილებაში ოთხი ვაკანსიაა, მესამეში — სამი, მეოთხეში — ხუთი და მეხუთეში (სპეციალურია) — ოცდა-ათი. სწავლება უსასყიდლოა.

⁂ 27 აგვისტოს, დილით, ნავთლუღში აღმოაჩინეს შემდეგი საზიზღარი მკვლელობა: ნავთლუღთან ახლო, მდინარის პირას, მწყემსების ძაღლები რაღასაც იჯიჯგნებოდნენ და ჰხრავდნენ. მწყემსებს დაუნახავთ, მისულან და გაურეკიათ ძაღლები. აღმოჩნდა, რომ თურმე ძაღლები კაცის გვამსა სჭამდნენ. ეს ამბავი მწყემსებმა აცნობეს პოლიციას. ჩქარა ამ ადგილას მივიდა ტფ. მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ელ. გუგუშვილი. ბ-ნმა გუგუშვილმა გამოარკვია, რომ მკვლელთ თავი მოუჭრიათ საბრალო მსხვერპლისათვის და მდინარეში გადაუგდიათ. თუმცა გვამი გახრწნილი იყო და ძაღლებსაც ნახევრად შეეჭამათ, მაგრამ, გუგუშვილის მეცადინეობით, გამოკვლეულ იქმნა, რომ მოკლული ასე 16 — 18 წლისაა. მკვლელთა ძებნას დაუყოვნებლივ შეუდგნენ და, როგორც ამბობენ, გუშინვე ბ-ნს ელ. გუგუშვილს მიუგნია იმათ კვალისათვის და დაუპატიმრებია.

საქართველოს ამბები

ლევან მირიანაშვილის გვამი გუშინ დაჰკრძალეს ქუთაისში. ახალგაზრდა ლევან მირიანაშვილი, ეს ოთხიოდე წელიწადია, ქართულს სცენას ემსახურებოდა. განსვენებული ჯერ კიდევ 22 წლისა არც კი იყო და სცენაზედ შნო და უნარი გამოიჩინა. განსვენებულს დარჩა ცოლი (მსახიობი ქალი მდივანი) და წვრილშვილი.

◆ როგორც «ნოვ. ობოზრ.»-ს სწერენ, ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ნება დაურთავს ლ. რადეცკისათვის, გამოსცეს ბათუმში ყოველდღიური გაზეთი «Батумскій Листокъ Объявленій».

◆ გზათა სამინისტროს დაუმტკიცებია ხარჯთ-აღრიცხვა ბორჯომში ახალ სადგურის აგების შესახებ. ბორჯომის ეხლანდელი სადგური უქმდება. ახალი სადგური შუაგულ ალაგას იქნება, სადაც ეხლა დროებით ხის ფარდულია. შენობის აგებას ამ შემოდგომითვე დაიწყებენ.

◆ გორის მაზრის სოფ. დირბში, საცხოვრებელ სახლებიდგან 20 ნაბიჯზედ, ადგილობრივ გლეხებს მიუთვისებიათ იერუსალიმის საპატრიარქოს ბერძენთა მაცხოვრის მონასტრის ადგილი და სასაფლაოდ გაუხდიათ, თუმცა სოფელს გარედაც აქვთ სასაფლაო. ბერძენთა მონასტრების გამგემ არქიმანდრიტმა კიპრიანმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ამის შემდეგ აქ აღარ დამარხონ სოფლელებმა მიცვალებულნი და უბრძანეთ, რომ ეს მონასტრის კუთვნილი მიწა შეაკავონო.

◆ შორაპნის მაზრის დაბა ჩაჩხერის ნოტარიუსად ნამყოფი დ. ი. აბაშიძე დაინიშნა იმავე მაზრის დაბა ქიათურის ნოტარიუსად.

კავკასია და კასპიის მხარე.

ბაქოში მიღებულ ცნობებით, ასხაბადში 17 აგვისტოს გაჩენილა რაღაც საეჭვო სენი. შუა-აზიის რკინის გზის სადგურებზედ, სახელდობრ, მერვსა, კაახკსა და ასხაბადში არ ღებულობენ არც მგზავრებსა და არც საეჭვო ადგილებიდგან გამოგზავნილ ბარგს. კრასნოვოდსკს აქეთ ათი ვერსის მანძილზედ გამართულია კარანტინი, სადაც ყველა მგზავრთ, ბარგსა და ნივთებს დეზინფექციას უკეთებენ. კრასნოვოდსკში მშვიდობიანობაა.

სახელმწიფო კონტროლერს, ინფანტერიის გენერალს პ. ლ. ლობკოს, მოელიან ბაქოს, როგორც «ბაქ. იზვესტია» იუწყება, 31 აგვისტოს. ბ-ნი ლობკო ბაქოდგან ტფილისისაკენ გამოემგზავრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 აგვისტო.

შანჰაი, 26 აგვ. (რეიტერი). როგორც ტოკიოდგან იუწყებიან, პორტ-არტურზედ დიდის იერიშის მიტანა გადადებულია ორის კვირით. შესაძლოა, რომ ეს ციხე სეკდემბრის მოსვლამდე არ დაჰნებდეს მტერს. ალყის შემომრტყმელთა შორის ძვინვარებს ბერი-ბერის ავადმყოფობა.

ლონდონი, 27 აგვ. (რეიტერი). როგორც იაპონიის შუა-გულ ლაშქრის ბანაკიდან იუწყებიან, იაპონელებმა 17 აგვისტოს ჰაეროსტატი აუშვეს, რომელიც დაუყოვნებლივ იტყობინებოდა, იმ ადგილებში, რომელსაც ზარბაზნებს ესროდნენ იაპონელები, სად ვარდებოდა ყუმბარები. — „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იუწყება იაპონიის მთავარ-ბანაკიდან, რომ ვნახე სამხედრო ქსენონი, რომელშიაც ასამდე მსუბუქად დაჭრილი იყო თოფის ტყვიებით. ერთი არ იყო ხიშტით დაჭრილი. რამდენიმე ფეხებშია დაჭრილი. იაპონელები ჰზომავენ რუსეთის რკინის გზის სიგანეს. იაპონელების მატარებლები დაშიჩაომდე დადიან.

ლონდონი, 27 აგვისტო. (რეიტერი). «ტაიმსის» კორესპონდენტი, რომელიც კუროკის ლაშქარშია, ასწერს ლიაოიანის ბრძოლას და ამბობს: ბრძოლის და-

ფელეტონი

პირობა.

მოლამ, ყადმა და ახუნდმა *)
შეჰკრეს პირობა ძლიერი,
რომ მათკენ გადაიბირონ,
სადაც კი ნახონ სხვა ერი.

წვერებზედ მოისვა ხელი
მოლამ, სთქვა: «ბისმირ ალლაჰო»!
ქრისტიანთ გასათათრებლად
უნდა ვიხმაროთ ძალაო!

ავკრძალავ წირვა-ლოცვის დროს
მათს ენას მამა-პაპურსო!
მაინც არ გამოადგებათ,
რომ ველარ აჭმევს მათ პურსო»...

ყადმა მიუგო ღიმილით:
«ჰე, ქეშეშ ბარაქალაო!
სამართალს ჯანი გავარდეს!...
ხალხიც მას ენაცვალაო!!...

თვითონ მე გავასამართლებ
ჩემგანვე გარყვნილ ერსაო!...
გინდა სტყუოდეს, გინდ არა,
გავსწირავ, როგორც მტერსაო.

ნელ-ნელა გადავასახლებ—
იქით ლადღუცეს თვალით,—
და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება
მათი მიწა და წყალიო».

ახუნდმაცა სთქვა: «ახშო!
არც მე დავზოგავ მაგათო
და სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგათო,

რომ სხვისი ვერ-რა ისწავლონ,
თავისიც დაავიწყდესთო
და მათი ტკბილი განზრახვა
უდროოდ დაუმიწდესთო!»

დასძახეს: «ლია-ილლ-ალლაჰ»!
ქვეყანას ემუქრებიან!
და ზოგნი თურმე ხალისით
იმათ ბანს ეუბნებიან.

აკაკი.

მცირე რამ.

ქართული სტამბის ისტორია ნაამბობი აქვს ჩვენ თანამედროვე, საყურადღებო მოღვაწეს ზ. ჭიჭინაძეს და მიტომაც მე პირდაპირ გადავდივარ დიუბელირის სტამბაზე. მესამე წლებში გ. წერეთლის მეცადინეობით გამოწვეულმა და ნ. ნიკოლაძის მეოხებით სულ-ჩადგმულმა პატარა წრემ შეიძინა დიუბელირის სტამბა. ამ სასიამოვნო გარემოებამ იმ საღამოს ლხინიც გამოიწვია და სწორედ იმ ღამის სუფრაზე თითქმის: «ყველი და პურიო, მოლხენა ძმურიო!» ყველსა და პურს მხარს უმშვენებდა მწვანილეულობა და ზედ მეტად ძეხვები, მადის გასაღვიძებლად, კოტრიალობდა სუფრაზე, და ბოთლებიც წყალ-წყალა ღვინით მზად იყვნენ თავი მოეხარათ მოქეიფეთა წინაშე. ამის მეტი სანოვაგე სუფრას არა წაჰკარებიარა. არც ჩვეულებრივი საპირფერო სადღეგრძელოები და არც გამაღლებული «მრავალ-ჟამიერი», მაგრამ მოლხენა კი გულწრფელი და წმინდა იყო!.. ბევრი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა იმ მრავალმნიშვნელოვან სუფრაზე. სხვათა შორის, მაგონდება გ. წერეთლის აღტაცებული სურვილ იმედები. სახე გაბრწყინვებული და ოცნებით აღფრთოვანებული ამბობდა: ეროვნულმა წმინდა გრძნობამ, რჯულთან ერთად გადაკავშირებულმა, შემოიღო ვალახეთით ჩვენში სტამბა. იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში საღმრთო წერილები. ჩამოსხმული ანბანი, ასოები, სახატეზე ედვათ და ისე ინახავდნენ, როგორც სიწმინდესა. ტიპოგრაფია საკურთხევლად მიაჩნდათ და საბეჭდავი დაზგა — მსხვერპლის შესაწირველ ტრაპეზად, თუ რა სიფრთხილითა და სიმართლით ასრულებდნენ მესტამბეები თავიანთ მოვალეობას, ამას გვიჩვენებს მაშინდელი მათი ხუცურად ნაბეჭდი წიგნები. დღეს ჩვენ შევიძინეთ მხედრული სტამბა სწორედ იმავე განძრახვით, რა განძრახვითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენც სამოციქულო, სადღესასწაულო და სასახარებო «გიხაროდენად» უნდა დავუდვათ წინ ხალხს ჩვენი ნაწარმოებ-ნაშრომი. ვსწეროთ და ვბეჭდოთ მხოლოდ ის, რაც სულის ასამაღლებლად სიწმინდით შეერგება ადამიანის გრძნობა-გონებას. ყოველი ერთადი მაგალითი მრავალს გამოიწვევს და ეს ჩვენი სტამბაც ბევრს სხვებს გამოიწვევს მომავალში... და მაშინ გამრავალკეცებული და შეერთებული შრომა ჩვენში ფრთებს შეასხამს დღევანდელ პირველ ბიჯს და გაამართლებს ბარათაშვილის წინასწარმეტყველებას: „გასწი მერანო! შენს ჭენებას არ აქვს საზღვარიო» და სხვანი. — გაუმარჯოს ჩვენს დღევანდელ სტამბას და ჩვენს მისწრაფებას ერთად იმ მომავალ სტამბებთან და მოღვაწეებთან, აქედანვე, დღესვე რომ გათვალისწინებული გვყავს და საერო გვირგვინად წარმოდგენილი! — გაუმარჯოს გაუმარჯოს! დასძახა აღტაცებულმა ახალგაზდობამ და დაუწყეს ერთმანეთს ხვევნა-კოცნა.

საზოგადო ლიტანიობა იყო.. ყველა ხარობდა, მხოლოდ ერთი მათგანი სულ სხვასა ჰფიქრობდა და ნაღვლიანის ღიმილითა სთქვა:

ამინ: და კირილეისონ! სასიხარულოა და სასიქადულოა ეს დღევანდელი განძრახვა, მაგრამ მომავლის იმედები კი, ცოტა ნაადრევია!.. ვაი თუ გადაჭარბებულ ოცნებით მოქარგული მომავალი გაგვიხუნდესო!.. ამ მოულოდნელმა და უადგილოდ წარმოთქმულმა სიტყვამ ყველას გული დასწყვიტა; ნ. ნიკოლაძემ ნაძალადევ-სათვალეებში გამოაკაფა დემონიური თვალები და კბილის კრაჭუნითა სთქვა: „აი, რა ვუთხრა იმ ბულბულს, რომელიც ყორანივით ჩხავისო!.. მეც რა ვუთხრა იმ მოციქულსა და წინამორბედს, რომელიც თვით გულს იტეხს და სხვებსაც უფრთხობს მომავალსო!... სთქვა მესხმა. თუ ეს წინასწარმეტყველებაა, მაშ ყიამყრალობა რაღა არისო ჩაიბლუკუნა ერთმა მათგანმა და მივიდა ალავერდით მომღიმართან. განკიცხულმა ღიმილითვე მიიღო სტაქანი და მოჰყვა: უსიამო წინასწარმეტყველება ყოველთვის ყიამყრალობა ჰგონიათ ხოლმე! — ერთხელ მუშები გასულიყვნენ სათოხარში. მოსავალს კარგი პირი უჩნდა და, მომავლის იმედით გამხიარულებულნი, ნადურს (მუშურს) აგუგუნებდნენ. ერთი მათგანი კი მოწყენილი და დაფიქრებული ცის კიდეს შესჩერებოდა და, რომ ჰკითხეს, შენ რატომ არ იმღერიო? დაღონებით უპასუხა: ცის კიდეში რომ პატარა შავი წერტილივით ღრუბელი მოსჩანს, ის მაშინებსო! — ვაი თუ ის გაიზარდოს, გადიდდეს, გადმოუაროს თავს ამ ჩვენ ნამუშავარს და დაგვისეტყვოსო. მარტო ამ ყანის იმედით ნუ დავდგებით და სხვაზედაც ვიფიქროთო. ამისი არ იყოს, მეც ჩვენში მისთანა ნიშნებს ვხედავ რომ... აქ სიტყვები გააწყვეტია ს. მესხმა და ბავშურის სიცილით მიაძახა: „ეჰ, მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო?“ და გადაჰკრა მომავალ თაობის სადღეგრძელო! გამხიარულდა ყველა და დიდ-ხანს — დიდ-ხანს სიცილ-ხარხარის მეტი აღარა ისმოდა-რა!... მას აქეთ ორმოცი წელიწადია. გამართლდა გ. წერეთლის ნათქვამი: ერთი

---

*) მოლა სასულიერო წოდების წარმომადგენელია, ყადი სამსჯავროსი და ახუნდი — მოძღვარ-მასწავლებლის.

წყებისავე 17 აგვისტოს ცხადი შეიქმნა, რომ წინანდელმა რამდენმამე გამარჯვებამ გენერალი ოქუ აიძულა აბუჩად აეგდო რუსთა წინააღმდეგობის უნარი, რადგან საკმაოდ არ მოამზადა საქმე ზარბაზნების სროლითა და ისე მიუსია ქვეითი ჯარი. რუსებმა პირდაპირ დაუშინეს ზარბაზნების ყუმბარები, რომელშიაც ტყვია იყო ჩაყრილი, ხოლო მათი პოზიცია კი დამალული იყო. ორის დღის ომის განმავლობაში ისეთი ტაქტიკა ჰქონდათ რუსებს, რომ იაპონელები სახლად დარჩნენ და ამიტომ ოქუსაც დიდის მსხვერპლის გაწირვა მოუნდა. იაპონელების სროლა ვერას აკლებდა რუსებს, რომელნიც თან და თან უფრო აძლიერებდნენ ცეცხლს. საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელი დღე გასტანა და იაპონელნი უფრო დაზარალდა, ვიდრე რუსნი, ოქუმ საღამოს ჟამზედ უბრძანა თავის ჯარს, მიეტანა იერიში. იაპონელებს 160 ზარბაზანი ჰქონდათ და 60 ტყვიის-მფრქვეველი. რუსებს კი 48 ზარბაზანი. იერიშები იაპონელებს 10 ათას კაცად დაუჯდათ, თუ კუროკის მე-10 დივიზიის ზარალს არ ვიანგარიშებთ. ტყვედ იქმნა შეპყრობილი მხოლოდ 7 კაცი. უფრო მეტი ზარალი მოუვიდათ იაპონელებს იმ ბრძოლაში, როცა ლიაოიანის დაპყრობას შეუდგნენ. დაცლილს სანგრებში რუსთა და იაპონელთა გვამნი ერთი-ერმანერთზედ იყო დახორავებული. 19 აგვისტოს ჯარები ისვენებდნენ და შეცდომით აგონებდნენ, რომ მხოლოდ უკანა ჯარებთან-ღა თუ მოგვიხდება მცირედი ბრძოლაო. ერთი დღე დასვენებისა იმას მოუნდა, რომ სათარიგო ჯარი მოსულიყო. 20 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ოქუს ლაშქარმა კვლავ დაიწყო ბრძოლა. ოქუსა და ნოძუს წინ იყო ახალი რიგი რუსთა სიმაგრეებისა 10 კილომეტრის მანძილზედ. რუსთა თხრილები გაჭიმული იყო რკინის გზიდან დასავლეთის მხარეს სამხრეთ აღმოსავლეთად ქალაქიდან. სერებზედ, მარჯვენა მხრივ რუსთა არცილერია იყო. იაპონელთა მეხუთე დივიზია სცდილობდა გარშემოევლო რუსთათვის, ხოლო ამასობაში მე-3 დივიზიის მთელმა არტილერიამ, აგრეთვე 15 სანტიმეტრიანმა ზარბაზნებმა დაიწყეს სროლა შუა-გულიდგან. იაპონიის მე-4 დივიზია გაემართა რკინის გზიდან დასავლეთისაკენ, ხოლო ორი სხვა დივიზია მიესია პირდაპირ ქალაქს.

ჩიფუ, 27 აგვისტო. (რეიტ.). სანდო წყაროდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა სამჯერ დაიჭირეს სიმაგრენი პორტ-არტურიდან ერთის მილის მანძილზედ, მაგრამ რამდენჯერმე უკუ-დაახევინეს რუსებმაო. რამდენიმე გენერალი იაპონელებისა, მათ შორის სარდალი დივიზიისა, დაჭრილ იქმნა. პორტ-არტურში საიდუმლოდ მიაქვთ საომარი იარაღი და იაპონელებს ვერ გაუგიათ, საიდან და როგორ. წარსულს ღამეს ცინდაოს მიდამოებიდან წავიდა 7 ნავი, ხორცითა და ფქვილით დატვირთული პორტ-არტურისთვის.—დიდძალი სიმრავლე დაჭრილ იაპონელთა ყოველ-დღე მოდის დალნიში. ამ ქალაქში 15,000 კაცია ავადმყოფი და დაჭრილი. ყველა დიდი შენობა ქსენონად არის გადაქცეული.—რუსნი იცავენ პორტ-არტურს ისეთის გაბედულობითა და მედგრობით, რომ ზოგიერთს იაპონელს ჰგონია, ციხე ჯერ კიდეს ერთს თვეს გაგვიძლებს, იქნება ორს თვესაცაო.

პეტერბურგი. კონტრ-ადმირალობა ებოძა გემის უფროსს ვირენს.

ბუდაპეშტი. 26 აგვისტოს გათავდა საერთა-შორისო კონგრესი ამხანაგობათა და სახელოსნო კავშირისა.

ვენა, 26 აგვისტოს. აქ მოვიდა საბერძნეთის მეფის-ძე გიორგი.

ლონდონი, 27 აგვისტო. (რეიტერი). ბრძოლა ლიაოიანთან. იერიში დაიწყო დილის ორ საათზე 18 აგვისტოს. იაპონიის მესამე დივიზია უკან დააბრუნა რუსის მარჯვენა ფრთამ; მეხუთე დივიზია კი მარჯვედ მოქმედებდა რუსის მარცხენა ფრთისაკენ. როდესაც მავთულს ცულებით სჭრიდნენ, იაპონელებს დიდი ზარალი მოსდიოდათ. ზოგან სანგრებში რუსებს უცაბედად მოასწრეს. გათენებისას იაპონელებმა, დიდის სროლის გამო, მიატოვეს პოზიციები. 18 აგვისტოს, 12 საათზე, მეხუთე დივიზიამ კვლავ დაიწყო იერიში. იერიშის დროს იაპონიის ჯარი თორმეტ-თორმეტ კაცად დაეწყო, მაგრამ ეს იერიში უკუ-აქციეს. ოქუს იერიშმაც უქმად ჩაიარა. იაპონიის ჯარი არტილერიის ცეცხლმა მოჰკანცა. შტაკელბერგი სცდილობდა იერიშს მეხუთე დივიზიაზე, მაგრამ ვერ მოახერხა. სჩანდა, როგორ მიდიოდნენ რუსის მატარებლები. დილით იაპონელებმა რუსებს საშინელი არტილერიის ცეცხლი აუტეხეს. საერთო იერიში 21 აგვისტოს დანიშნეს. დილის იერიშმა ფუჭად ჩაიარა. 9 საათ. 10-მდე, საშინელი არტილერიის ბრძოლა იყო; ბოლოს მეხუთე დივიზია შევიდა ქალაქის წინა უბანში, მაგრამ დიდი ზარალი მოუვიდა; შემდეგ რუსებმა დაიწყეს საშინელი სროლა და იაპონელებმაც თავის მხრივ დაუშინეს რუსის მარცხენა ფრთასა. ღამე რუსები მაინც დარჩნენ სანგრებში, თუმცა იმათი ბატარეია აღარ ჰმოქმედებდა. 22 აგვისტოს, ხუთის დღის ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო, იაპონელებმა აიღეს რკინის გზის ხიდები დილის სამს საათზე, მაგრამ გენერალმა კუროპატკინმა მოასწრო წასვლა ციმბირის მსროლელთა პოლკის უკანასკნელ ნაწილებითა.

ჩიფუ, 27 აგვისტო. (რეიტერი). იაპონიის რაზმი, 700 კაცისაგან შემდგარი, 19 აგვისტოს მიადგა ფუგასებს (ნაღმით ჩახერგილ ადგილს), რომელიც რუსებმა ააფეთქეს. ნაღმი ჩაწყობილი იყო ქვანიადაგში. მთებზე დარაჯები იგდნენ. შუაღამისას დარაჯებმა შეატყობინეს იაპონელთა მოახლოვება; რუსებმა არ ესროლეს და მოუცადეს, სანამ ნაღმიანს ადგილს მივიდოდნენ; მაშინ კი მოისმა აფეთქების ხმა და პროჟექტორების სინათლეზე გამოჩნდა საშინელი სურათი: იაპონელთა სხეულების დაგლეჯილი ნაწილები ერთმანეთში აირია და ჰაერში ტრიალებდა. ეს აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ რამდენიმე კლდე დაინგრა რუსების სადგომებისაკენ. აფეთქებას მოჰყვა უცნაური დუმილი; გზები და მთის ფერდობები სულ მკვდრებით მოიფინა; მეორე დღეს რუსებმა დაასაფლავეს მიცვალებულნი. რადგანაც ერთობ დასახიჩრებულნი და დაფლეთილნი იყვნენ მიცვალებულნი, ვერ გაარკვიეს რაოდენობა დაღუპულთა. რამდენიმე კაცი მაინც გადარჩა. ეს ცნობები გაალცხადდა «ნოვი კრაის» პაწია ფურცელში, რომელიც 21 აგვისტოს დაიბეჭდა, იმიტომ, რომ თვით გაზეთი სრულად ვერ გამოდის, რადგან სტამბა გაფუჭებულია.

შუაღამისას მოსულნი ჩინელნიც ამტკიცებენ ამ ამბავს. ისინი ამბობენ, გავიგონეთ აფეთქების ხმა, რომლის დროსაც ბევრი იაპონელი დაიხოცაო. დაწვრილებით კი არა იციან-რა.

სტამბოლი, 25 აგვისტო. (კორესპ. ბიურო). 600 შეიარაღებულნი ალბანელნი შეცვივდნენ პრიზრეში; სოფლებში, პრიზრენის გარშემო, როგორც ამბობენ, კიდევ 1,500 ალბანელი დათარეშობს. ამის გამო ელჩემა შესაფერი წინადადება მისცეს პორტას.

პეტერბურგი. დეპეშა გენარალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბს, 27 აგვისტოს თარიღით: «26 აგვისტოს ჯარის სადგომის რაიონში ბრძოლა არა გვქონია მტერთან».

28 აგვისტო.

ვლადივოსტოკი, 27 აგვისტო. (სააგ. საკ. კორესპ.). 31 აგვისტოს ადგილობრივ სადაველო სასამართლოში გაარჩევენ საქმეს ინგლისის გემის «კალხასისას», რომელიც ჩვენმა კრეისერებმა შეიპყრეს გასულ ივლისს.—1 აგვისტოს ბრძოლაში კრეისერებზე დაჭრილთა მომეტებული ნაწილი მორჩნენ და თავთავიანთ გემებზედ დაბინავდნენ.

ზანზიბარი. (რეიტ. სააგ.) 24 აგვისტოს, დილის 3 საათზე, ინგლისის კრეისერმა «ფორტემ» მენანის ნავთსადგურში შენიშნა რუსის თავისუფალ ფლოტის გემები «სმოლენსკი» და «პეტერბურგი», რომლებიც წასვლას აპირებდნენ. ინგლისის კრეისერმა ანიშნა, «საჭირო დეპეშები მაქვსო». რუსის გემები გაჩერდნენ. მაშინ «ფორტემ» ნავი გაგზავნა, დეპეშები გადასცა და მასთან ინგლისის მთავრობის პროტესტიც, რომ სანეიტრალო გემები აღარ შეაჩერონ. ნავი რომ დაბრუნდა, „პეტერბურგის“ კაპიტანიც მიჰყვა, რომელსაც საპატიო დარაჯი დაუხვდა და სალამი მისცა. კაპიტანმა განაცხადა, ზანზიბარში ცუდ ამინდის გამო ვდგევართ და მხოლოდ ერთი გემი გავჩხრიკეთ. «სმოლენსკს» ცოტა ქვა ნახშირი ჰქონდა და კაპიტანმა ნებართვა ითხოვა, სამყოფი ქვა-ნახშირი წაგვაღებინეთ აქედგანაო. «ფორტეს» კაპიტანმა დუნდასმა განუცხადა, ჩქარა უნდა წახვიდეთო და ქვა-ნახშირის შესახებ ჩემს მთავრობას უნდა დავეკითხოვო. «პეტერბურგმა» ინგლისის დროშას სალამი მისცა 21 სროლით. „ფორტემ“ ამგვარადვე უპასუხა. „ფორტეს“ კაპიტანი შემდეგ «პეტერბურგის» კაპიტანს სკალსკის ეწვია, სადაც აგრეთვე საპატიო დარაჯმა სალამი მისცა. კაპიტნები ერთმანერთს დიდის თანაგრძნობითა და თავაზით მიეგებნენ. «პეტერბურგზე» ქვა-ნახშირი საკმაოდ იყო, 7 ხუთ-დიუმიანი და რამდენიმე წვრილი ზარბაზანია. დუნგასი რომ თავის გემზე დაბრუნდა, რუსის გემები სამხრეთისკენ წავიდნენ. «ფორტე» ზანზიბარს დარჩა. საგზირო გემი მენანის ნავთსადგურს დარაჯობს.

ჩიფუ, 27 აგვისტო. (რეიტერი). «ნოვი კრაი» დაწვრილებით იუწყება 14 აგვისტოს ბრძოლის ამბავს: საზარელ იერიშის შემდეგ მე-14 პოლკის კომანდირმა კაცები გაგზავნა დაჭრილების წამოსაყვანად. რუსებმა წითელ ჯვრის ბაირაღი ამართეს. იაპონელებმა სროლა დაუწყეს და უნტერ-აფიცერი დასჭრეს. კაპიტან სპანოვს ეგონა, იაპონელები შეცდომით თუ ისროდნენო, და ხელმეორედ გაგზავნა რაზმი. იაპონელებმა ისევ ასტეხეს სროლა და ერთი კაცი დასჭრეს. ამის შემდეგ რაზმი უკან დაბრუნდა.

დასავლეთისკენ იაპონელები ხიაძატუნთან გამაგრდნენ. რუსებმა ზარბაზნები დაუშინეს და ორი ზარბაზანი დაუზიანეს.

15 აგვისტოს იაპონელები მე-22 № ფორტს ესროდნენ აღმოსავლეთის მხარეს არწივის სერიდგან. აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონელებს მთელ ღამეს სროლა არ შეუწყვეტიათ. რუსებმა მაღლობიდგან ყუმბარები დაუშინეს იაპონელებს, რომლებიც სერს ეფარებოდნენ, და გაჰფანტეს. იაპონელები მთელ დღეს ისროდნენ ყუმბარებს.

ჩინელები ამბობენ, იაპონელებს შვრია და ბზე სამყოფი არა აქვთო. იაპონელების სამხედრო მასალის საწყობი ლიტურკაუსთან რუსებმა დაანგრიეს.

14—16 აგვისტოს რუსები შეფიქრიანდნენ, შავი ჭირი არ გაჩნდესო, იაპონელების ყუმბარეს აღარ მოერიდნენ და 700 მოკლული დამარხეს აღმოსავლეთის მხარეს.

ჩიფუში წერილი მოვიდა, რუსები ზღვის წყალსა სწმენდენ, რადგან იაპონელებმა წყაროს მილები დაშალეს იტშანის სერზეო.

მუკდენი, 25 აგვისტო. «რეიტ. სააგ.»-ს კორესპონდენტი იუწყება: «მე დავბრუნდი მუკდენში რუსის არიერგარდთან ერთად და ჯართან ვიყავი ბრძოლის დაწყებამდე ლიაოიანში. ამ ბრძოლაში ორთავ მებრძოლმა მხარემ აუარებელი ზარალი ჰნახა. სულ მცრე რომ ვიანგარიშოთ, ორთავე მხარე ამ ბრძოლაში დაჰკარგავდა 50,000 კაცს ამ ბრძოლაში გამწვავება გვაგონებდა უსასტიკეს ბრძოლას შეერთებულ შტატების შინაურ ომში. კუროკის მოძრაობამ აღმოსავლეთის მხრიდან დააჩქარა რუსების მიერ ლიაოიანის დაცლა. ბრძოლა გაგრძელდა 22 აგვისტომდე, როცა ხიდები დანგრეულ იქმნა. რუსები დარწმუნდნენ, რომ მათი პოზიციები ძალზე იყო გაგრძელებული და ამიტომ ჯარი ვერ შესძლებდა მათს დაცვას. ჯარის უმთავრესი ნაწილი გადავიდა ტაიძიხეზე 19 აგვისტოს, ნაშუაღამევს, და თავს დაესხა კუროკის ჯარს ორის კორპუსით. პირველი დღე რუსებისთვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ ღამე გამოიცვალა; თოფ-ზარბაზნების ცეცხლმა, რომელიც იაპონელებმა დაუშინეს ღამე რუსების ქვეითა ჯარს, დიდი ზარალი მიაყენა რუსის ლაშქარს. ბრძოლა გაგრძელდა 22 აგვისტოს. რუსებმა შესძლეს რკინის გზის აღმოსავლეთის მხრის დაცვა. იაპონელები მივიდნენ იანტაისთან და ღამე, 22 აგვისტოს, იერიში მიიტანეს; მაშინ რუსის სურსათის და ბარგ-ბარხანის ურმებმა უკან დაიხია, მაგრამ დილით, 23 აგვისტოს, იაპონელებმა ისევ იერიში მიიტანეს მუკდენის გზაზედ; მუკდენისაკენვე დაიძრა რუსის ორი კორპუსი დიდძალის არტილიით, რათა დაეცვა თავისი მარჯვენა ფრთე. გზები ძლიერ გაფუჭებული იყო, რაიცა უფრო აძნელებდა უკან დახევას, როგორც ჯარის კაცებისას, ისე საქონლისასაც, რადგან ორივე მხარე ძლიერ დაღლილი იყო. იაპონელები, რომელნიც, ჩვეულებრივ, წინ წამოწეულნი არიან ამ ჟამად, ვერ ამჩნევდნენ რუსების საშიშ მდგომარეობას. იაპონიის ჯარი, 40,000 კაცისაგან შემდგარი, მუკდენის დასავლეთს მიუახლოვდა. ადვილად შესაძლებელია, რომ ორივე მოწინააღმდეგე ჯარი, რა მდგომარეობაშიაც ეხლა ისინი იმყოფებიან, ვერ შესძლებენ მსწრაფლ მოქმედებას და იაპონელები ვერ აიძულებენ რუსებს ბრძოლის წინადადების მიღებას,

მუკდენი, 27 აგვისტო. (რეიტერი). იაპონიის მოწინავე რაზმები აღმოსავლეთის ჯარისა მუკდენიდან 50 ვერსის მანძილზე დგანან.

მუკდენი, 27 აგვისტო. «ბერლინერ ლოკალ ანცეიგერის» კორესპონდენტი შემდეგს დაწვრილებით ცნობას იძლევა ლიაოიანის ბრძოლის შესახებ: 20 აგვისტოს ვიბორგის პოლკმა იერიშით აიღო სოფელი საკვანტუნი. ომში გასვლის წინად პოლკის უფროსმა შეჰკრიბა ჯარი და გერმანიის სამხედრო აგენტის მაიორ რანკელის თანადასწრებით წამოიძახა «ურა» გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის პატივსაცემლად. იერიშის დროს პოლკის უფროსი დაიჭრა ბეჭში, მაგრამ ბრძოლიდგან არ გამოსულა—მუკდენს გაჩქარებით სცლიან. იაპონელები ჯერ მდინარე ხუნხეზე არ გადასულან.

სტამბის მაგიერ, დღეს ათობით და ასობით არის ჩვენში ყველგან მოდებული სტამბები, გამომცემლები მრავალია და მწერლებიც უთვალავი, მაგრამ? მაგრამ ვაი, რომ მნიშვნელობა კი ყველას დაკარგული აქვს და, სამწუხაროდ, მაშინ ყიამყრალად დასახულის ნათქვამი გამართლდა. გ. წერეთლები, ნ. ნიკოლაძეები, ს. მესხები და მათიანეები ზოგნი დაიხოცნენ, ზოგს გარემოებამ ხელ-ფეხი შეუკრა და მათი ადგილი კი სხვებმა დაიჭირეს. მაგრამ რას ვამბობ? დაიჭირეს კი არა!—მოიტაცეს და სულ სხვა გზით მიდიან? მივიწყებულა ძველი სურვილ-აღთქმანი და დღევანდელი სტამბები და გამომცემელ-მწერლები, მათის მოღვაწეობით, ხელს უწყობენ მისთანა რამეებს, რაც საწამლავად ენთხევა ჩვენის ხალხის გრძნობა-გონებას. დღეს ჩვენში საზოგადო მოღვაწის სახელით გამოსვლა, რა სარბიელიც უნდა იყოს, ადვილია. მწერლისათვის სრულიად საჭირო აღარ არის არც ნიჭი, არც ცოდნა და არც ენის შესწავლა. საკმაოა, რომ რამოდენიმე გროში გამოილოს, დააბეჭდვინოს მისი ნაწარმოები—ოცობოდია და გადასცეს გამყიდველებს ან მუქთად და ან მცირე ფას დადებით და ისინიც ამ საწამლავს, რასაკვირველია,—ალბად სარგებლობისათვის,—ავრცელებენ ხალხში. და ისე მიაჩვიეს მკითხველები და გარყვნეს ამ გამყიდველებმა, რომ თუ მკითხველს ნაძალადევად არ მიაჩეჩე ხელში წიგნი, თვითონ არ მოითხოვს!.. ამას გარდაც, ხშირად რომელსამე სქელ, მაგრამ მხოლოდ სისულელით გაბერილ, წიგნებს დიდ ფასს ადებენ და მყიდველს კი იაფად უთმობენ და ამ გვარად გაწუწკებული მყიდველიც აღარც მართლა და ღირსეულსა და ღირებულ წიგნებს ჰყიდულობს, თუ ფასი არ დაუკელით. ოღონ ფასად შაური კი ეწეროს და, ყოველი წიგნაკი სახალხო გამოცემა ჰგონიათ. სხვა წარმოდგენა აღარა აქვსთ! გინდ სასარგებლო იყოს და გინ მავნებელი!..

ერთმა წიგნის გამყიდველთაგანმა მირჩია: შენი დიდი პოემები, თუ გინდა გაიყიდოს, სახალხოდ გამოეცი და ერთი შაური დაადევი ფასადო.—მერე ხომ მე თვითონ გამოცემა ერთი ათად მეტად დამიჯდება-მეთქი? მან გადაჭრით მიპასუხა: მაშ ნაწყვეტ-ნაწყვეტებად გამოეცი, თორემ მთლად არავინ მოჰკიდებს ხელს, თუ ზედ შაურზე მეტი ეწერებაო. ცხადია, რომ ხალხი იმ აზრზეა დამდგარი, რომ ოღონდ შაური კი ეწეროს წიგნზე და, სისულელეა თუ სიბრძნე, მისთვის სულ ერთია. რკინის გზის სადგურებზე შაურად რომ ხილსა ჰყიდიან, ისე ყიდულობენ წიგნებსაც. ამ უკულმართობას წიგნის მაღაზიები და ბუკინისტები მიტომ უწყობენ ხელს, რომ პირადად ისარგებლონ, თვარა საზოგადოებასა და ხალხს რას დასდევენ? მათი მდგომარეობა კარგია: ვნებაც მოაქვსთ და მოღვაწეებათაც ითვლებიან. ერთ ტიპოგრაფიის პატრონს ვუსაყვედურე: რად ჰბეჭდავ მავნებელ წიგნაკებსა-მეთქი? და გაოცებით მიპასუხა: ჩემი რა საქმეა ავისა და კარგის გარჩევაო? მე მოგებას ვეძებ და ვინც ფულს მომცემს, რაც უნდა იყოს, დავუბეჭდავო!.. ეს სწორეთ ისეთივე თავის მართლებაა, რომ მღვდელმა სთქვას: რადგანაც ჩვენ სამლოცველოში მლოცველები ცოტა დაიარება დ მოგება აღარა გვაქვს, მეც ტაძარი საფუნდრუკოდ გადავაკეთეო!

ახლა უნდა ვიკითხო: სად არის იმ მესამოცე წლების სასურველი იმედები და მოლოდინი? და მართალი ყოფილა თუ არა ერთი, მათგანი, შავ ღრუბელს რომ მოელოდა? მართალი იყო, და ეს დღევანდელი მწერლობა-მწიგნობრობის საქმე ჩვენში ისეთი მავნებელი მოვლინებაა, რომ ყოველგვარ ჭორზე უარესი!.. ამის წაყრუება ცოდვაა და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს კი უმნიშვნელო ჰგონიათ და განსუვლიან.

ამისთანა დროს კარგისა და ღირსეულის ნაწარმოების გამოცემა ცოდოც არის: უყურადღებოდ დარჩება და არც გაიყიდება, გინდ მარგალიტიც იყოს, და ამ გვარ მარგალიტად მიგვაჩნია ჩვენ გრიბოედოვის კომედია «ვაი ჭკუისაგან», ქ-ნ განდეგილის ნათარგმნი და დრამატიულ საზოგადოების გამოცემული. რომ ვსთქვათ, თარგმანი ორგინალზე უკეთესიაო, ეს ნამეტანი იქნება, მაგრამ უნდა ალვიარო კი: ამაზე უკეთესი თარგმანი არა თუ ქართულსა, არც სხვა რომელსამე ენაზე მოხერხდებოდა. მთარგმნელის ნიჭს, ენის ცოდნასა და მეცადინეობას უძლევია ყოველიფერი და შემოუტანია ქართულ სალიტერატურო სალაროში ღირსეული განძი. აქ მთარგმნელის ნიჭი ორგინალის დამწერის ნიჭს კვესივით მოჰხვედრია და ამიტომაც არ ჰგავს ეს უკანასკნელი სხვა ნათარგმნებს! აქ, სხვათა შორის, გაკვრით ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ჩვენში საზოგადოდ ქალები რომ უდებენ გულს საზოგადო საქმეს, ისე კაცები ვერაა!—და მწერლობაშიაც იგივე შეგვინიშნავს. ჯერ კიდევ მესამოცე წლებზე ცოტა უფრო ადრე, როცა სანავარდო ასპარეზზე იყო გამოსული მცირე ჯგუფი, არც ერთი მათგანი ნაყოფიერი არ ყოფილა, გამრჯელობას გულს ვერ უდებდნენ. წერა მათთვის სხვათა შორისი შემთხვევა იყო. ჩვენმა დიდმა პოეტებმა: გრ. და ვ. ორბელიანებმა, რ. ერისთავმა და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს იცოცხლეს, პატარ-პატარა წიგნაკების მეტი ვერა დაგვიტოვეს-რა. ასე მოუვიდათ პროზის მწერლებსაც: ჭონქაძემ ერთად ერთი, პოეზიის მხრით უმნიშვნელო, «სურამის ციხე» დაგვიტოვა. ლ. არდაზიანმა «მეჯღანუაშვილი» და «მორჩილი». ზერიძემ: «ხანის ბეგი» და «ტფილისის საიდუმლოება». ვერც ერთმა ვერ გამოიჩინა თავი საქმის გულ-დადებით. იმათში მხოლოდ ერთი ქალი ერია: კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა, და მისი შრომა-ბეჯითობა გასაოცარი იყო, იმდენი რამ დასწერა!.. დღესაც ქალები უფრო ბეჯითები არიან კაცებზე, მაგალითად: ეკ. გაბაშვილისა, ბ. თუმანიშვილისა, ა. ერისთავისა და განდეგილი!... მწერლობის გარდა სხვა ასპარეზზედაც ქალები გვჯობნიან... ერთი მ. დემურია უდრის მრავალს-მოღვაწე კაცთაგანს.

ბევრ ახალგაზდა კაცს გადმოუდგამს ჩვენში პირველ ხანებში საიმედოდ ბიჯი, მაგრამ გული რომ ველარ დაუდეს, ნიჭიც დაუჭკნათ და სურვილიც!.. ქალებს კი არ ეთქმისთ ესევე!..

მაგალითად ავიღოთ განდეგილი: იმან რომ პირველად მისი ლექსები მაჩვენა ქუთაისში და რჩევა მკითხა, ბუნებითი ნიჭის მეტი არა ეტყობოდა-რა! არც ენის ცოდნა, არც არა სწავლა-განვითარება და არც საიმედო რამე, მაგრამ, გიოტეს თქმისა არ იყოს, «თუ ვარდია, თავისთავად გაიშლებაო». ამანაც ხელი რომ შეუწყო ბუნებით ნიჭს, დღეს მისს ნაწერებს არა თუ ჩვენი ჯეჯილი, უცხო ქვეყნის მწერლობაც არ დაიწუნებს. და აი, ეს მაძლევს მე იმედს, რომ ჩვენში, თუ კი რამ გამობრუნდება, ისევ ქალების მეოხებით და, სასურველია, რომ დღევანდელი ჟურნალ-გაზეთებიც მათ ხელში გადავიდეს.

აკაკი.

* * *

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა ელჩების შუამდგომლობით, პრიზრენში გაგზავნილია მაშველი ჯარი. პორტამ ბრძანება გასცა, სამხედრო ძალას მიჰმართეთ მანიფესტანტების წინააღმდეგ, თუ ვინიცობაა სხვა გზით არ გავიდნენ ქალაქიდანაო. პორტა ირწმუნება, რომ მდგომარეობა საშიში არ არის და წეს-რიგი აღდგენილ იქმნებაო.

მუკდენი, 26 აგვისტო. (რეიტერი). «დეილი მეილს» ატყობინებენ, რომ ჯარები და ბარგი რიგზე მიდიანო. იაპონელები დიდად ვერ აშინებდნენ უკან დაწევისას.

ტოკიო, 27 აგვისტო. (რეიტერი) იაპონიის ლაშქრის მარჯვენა ფრთის ერთი დივიზია, გენერალ კუროკის უფროსობით, მუკდენს აწვება.

ტოკიო, 27 აგვისტო. (რეიტერი). ვლადივოსტოკიდგან გამოსულ ნოარვეგიის გემი იუწყება, «ბოგატირი» შეაკეთესო. დანარჩენ გემებს სეკდემბრის გასვლამდე შეაკეთებენო.

„სტანდარდი" გადმოგვცემს, რომ ამ უკანასკნელ სამი-ოთხი თვის განმავლობაში რუსის მთავრობის აგენტები ყიდულობენ 400—500 ათას ფუთ ქვა-ნახშირს, რომლის უმეტესი ნაწილიც უკვე მანილაში გაჰგზავნესო.

შანხაიგუანი, 27 აგვისტო. (რეიტ.). «ნიუ-იორკ ჰერალდის» კორესპონდენტმა 26 აგვისტოს გამოგზავნა ვრცელი აღწერა ლიაოიანის ომისა, რომელიც ამ სიტყვებითა თავდება; «რუსების უკან დაწევა საუცხოვო წესით შესრულდა. არაფერი არ დაუტოვებიათ. წაიღეს ყოველივე სურსათ-სანოვაგე და რკინის გზისთვის საჭირო მასალები. იაპონელების ზარალი 20,000 კაცამდეა. რუსებისა—15,000-მდე. იაპონიის ლაშქარს მთელი თვე მოუხდება ლიაოიანს დარჩენა, რათა ჯარი შეასვენოს და სამხედრო სურსათი და ნუზლსანოვაგე შეივსოს, მაშინ, როდესაც რუსებს უკვე დამზადებული აქვთ სამოქმედო ადგილები. კუროპატკინმა შესძლო იაპონელთა წინსვლის შეჩერება, თუმცა ნაკლები ჯარი ჰყავდა, და დიდი ზარალიც მისცა მტერს. იაპონელთ ხელთ იგდეს მხოლოდ 2 ლოკომოტივი, 4 ზარბაზანი და 15 კაციც ტყვედ წაიყვანეს. იაპონელნი უკვე ჰფიქრობენ, რომ საქმე დღე და ღამე უძნელდებათ».

ლხასსა, 25 აგვისტო,. (რეიტერი). დღეს ხელი მოაწერეს ინგლისსა და თიბეთს შორის დადებულ ხელშეკრულობას.

ლონდონი, 28 აგვისტო. (რეიტერი). «ტაიმსის» კორესპონდენტი, იაპონიის მარცხენა ლაშქარში მყოფი, პეკინიდგან დეპეშით იუწყება: „27 აგვისტოს იაპონელთაგან აღებული სამხედრო დავლა უმნიშვნელოა, თუ გავითვალისწინებთ ლიაოიანის სიდიადეს. სამხედრო სურსათის ერთი ნაწილი ცეცხლმა შთანთქა. იაპონელთ ვერ ჩაიგდეს ხელთ ლოკომოტივები, რომელიც ისე ძლიერ საჭიროა ეხლა მათთვის და რომელიც უფრო ძვირფასია იმათთვის, ვიდრე საარტილერიო ზარბაზნების ბატარეიები. ყველა გაზეთები ერთხმად სწერენ, რომ იაპონელთ საუცხოვო ტაქტიკა აქვთ და სტრატეგია ზედ-მიწევნით ესმითო. ყველა ამის შემდეგ უნდა გამოვტყდე, რომ, რაც მე ჩემის თვალით ვნახე, ჩემს მოლოდინს არ ამართლებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ არც იაპონიის და არც რუსების ლაშქრებში სტრატეგიის ნიჭით შესანიშნავი არავინ [illegible]. თუ ერთ-ერთმა მებრძოლ-ნაწილმა მიაღწია ზოგიერთ სტრატეგიულ გამარჯვებას, ეს ისევ გენერალ კუროპატკინს უნდა მიეწეროს: მან შეაფერხა იაპონელთა სამხედრო მოქმედების უმთავრესი განზრახვის აღსრულება".

ვენა. საბერძნეთის პრინცმა გიორგიმ ინახულა გრაფი გოლუხოვსკი. დარბაზობამ კარგა ხანს გასტანა. პრინცი გიორგი 29 აგვისტოს პეტერბურგს მიემგზავრება.

ბელგრადი. მემკვიდრე პრინცს დაბადების დღესასწაულისა გამო ებოძა ფელდფებლობა.

ლონდონი, 28 აგვისტო. (რეიტერი). «დეილი ქრონიკლი» ამბობს: ლიაოიანის ბრძოლის შესახებ მიღებული დაწვრილებითი ცნობები არკვევს, რომ კუროპატკინმა სრულიად გაამართლა მისგან მოხვეჭილი სახელი დიდებულ სარდლისა; მისის მეოხებით გასაოცარი მამაცობა გამოიჩინა არიერგარდმა, რომლის გმირობაც უდრის იმას, რაც შეასრულეს იაპონელებმა ომის დაწყებიდგან დღემდე. «დეილი ტელეგრაფის» აზრით, ბრძოლის აღწერამ უნდა შესცვალოს და განმარტოს ომის ნიშნობლივი შემთხვევანიო. ლიაოიანის ომში ორსავე მხარეზედ ჯარის კაცნი თანასწორნი იყვნენ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

24 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,50
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅛ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	88½ ნის. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	384 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	296 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	253 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუტისა.

განცხადებანი

ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ დაიკარგა პაიები ამ ამხანაგობისა, შემდეგი №№: 403, 439, 440, 460, 457, 417, 468, 452, 459, 407, 410, 451, 450, 449, 447, 448, 458, 454, 456, 423, 418, 421, 437, 432, 431, 430, 425, 424, 469, 473, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 455, 452, 419, 404, 405 და 475.

მნახველთ ვთხოვთ წარმოადგინონ პაიები ათის დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პაიები გაბათილებული იქნება.

(3—1)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი" მ. ვ. ლებედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 6—12)

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.

ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—16)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისას, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—10). ალ. გ. საათაშვილი.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს.



რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწად „1860" და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ" (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნიმელლერი"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისს** და ტაშკენტში.

(60—42).

Дозволено цензурою Тифлисъ 28 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи